სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

150 დავით აღმაშენებლის გამზირი
თბილისი,საქართველო
+995 32 295 00 30

04 / ივლისი / 2025 წ.

KARR0187206755325

№ **22/3991**

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ გორის მუნიციპალიტეტში, ვარიანის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების (6 500 000 m^3/წელიწადში (ვარიანის სათავე ნაგებობა), 25 წლის ვადით, კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის) სკრინინგის განცხადებას (ID_202131_63685, 02.05.2025 წ.).

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი წარმოადგენს ვარიანის სათავე ნაგებობას, რომელიც წარმოდგენილია ორ უბნად (ორი ჭა).

გეოსაინფორმაციო პაკეტის 2.5 პუნქტით გაწერილია დაშორება მნიშვნელოვან პუნქტსა და სალიცენზიო ობიექტს შორის. ჭები ქ. გორიდან დაშორებულია 6-10 კილომეტრით.

სალიცენზიო ობიექტების (ორი ჭა) აბსოლიტური სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს 630-670 მეტრს.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.

სალიცენზიო ობიექტები არ მდებარეობენ სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.

წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვ. Shape ფაილი.

ხელმოწერილია/
ელექტრონულად

**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №32გ
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

04 ივლისი 2025

N 01/1/1017

გორის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში გზშ-ის პროცედურის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით **სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ წარდგენილია გორის მუნიციპალიტეტში, ვარიანის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების (6 500 000 m^3 /წელიწადში (ვარიანის სათავე ნაგებობა) სკრინინგის ანგარიშის განცხადება.**

სკრინინგის ანგარიშის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge. გთხოვთ, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნები და მოსაზრებები წარადგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2025 წლის 15 ივლისის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge.

ასევე, გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად ვალდებულია, უზრუნველყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით პროექტის შესახებ ინფორმაციას თანდართული დოკუმენტაციის სახით და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი:

- გზშ სკრინინგის განცხადება და პროექტის შესახებ დოკუმენტაცია - 4 ფაილი

პატივისცემით,

მარიამ გორგაძე

ცენტრის დირექტორი - მ.შ.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი
1	**წიაღითსარგებლობის ობიექტი** – გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ვარიანის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება.
2	**წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მდებარეობა**
2.1	**რეგიონი** – შიდა ქართლი
2.2	**მუნიციპალიტეტი** – გორი
2.3	**ადმინისტრაციული ერთეული** – ვარიანის ადმინისტრაციული ერთეული
2.4	**უახლოესი დასახლებული პუნქტი** – სოფ. კარალეთი
2.5	**დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან** – ქ. გორიდან 6-10 კმ.
2.6	**მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან** – აღემატება კილომეტრს
2.7	**მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა)** – მდ. დიდი ლიახვის აუზი
2.8	**წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები** – <table><tr><th>#</th><th>X</th><th>Y</th></tr><tr><td>1</td><td>421021</td><td>4658450</td></tr><tr><td>2</td><td>420959</td><td>4657396</td></tr><tr><td colspan="3">WGS 1984</td></tr></table>
2.9	**ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან** – სალიცენზიო ობიექტები მდებარე 630-670 მეტრის ფარგლებში.
2.10	**კლიმატური პირობები** – გორის რაიონის კლიმატი კონტინენტური ხასიათისაა, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს +11,4^0**C**, მინიმალური მრავალწლიანი ტემპერატურა –20,4^0**C**-ია, ხოლო მაქსიმალური +39,5^0**C.** ნალექების საშუალო წლიური რაოდენობაა 585 მმ-ს.
3	**ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები**
3.1	**მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან** –
3.2	**მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან** –
3.3	**დამატებითი მონაცემები** –
4	**სატყეო რესურსები**
4.1	**სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში** – არ ფიქსირდება.
4.2	**ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური** – არ ფიქსირდება.
4.3	**სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები** –

5	**წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოლოგიური პოზიცია**
5.1	**წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) ჰიდროგეოლოგიური პოზიცია საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით** – ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების ქართლის არტეზიული აუზი.
5.2	**წყალშემცველი ჰორიზონტი** – თანამედროვე ალუვიური ნალექების ქვედა ნაწილის წყალშემცველი ჰორიზონტი, რომელიც გავრცელებულია ჭალისზედა პირველი ტერასის ალუვიურ ნალექებში. ჰორიზონტის სიმძლავრე მერყეობს 8-20 მ-ის ფარგლებში. ჭალისზედა პირველი ტერასის ნალექების ხასიათდებიან ფაციესის ცვალებადობით და ქვიშების, ქვარგვალების, თიხნარის და თიხების სხვადასხვა ფენების ლინზისებური განლაგებით, რაც გამოწვეულია მდინარის მეანდრირებით. ნალექების ლითოლოგიურ-ფაციალური მრავალფეროვნება განაპირობებს წყალშემცველი ჰორიზონტების წყალსიუხვისა და წყალშემცველობის მრავალფეროვნებას. გრუნტის წყლების სიღრმე მერყეობს 0,5-დან 20 მეტრამდე.
5.3	**ცალკეული ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მონაცემები (სიღრმე, კაპტაჟი)** – სიღრმე უცნობია
6	**მიწისქვეშა წყლების ხარისხობრივი დახასიათება**
6.1	**ქიმიური შედგენილობა** – ჰორიზონტის წყლები ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი, ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-კალციუმიან-მაგნიუმიანი და კალციუმიან-ნატრიუმიანი ტიპისაა. საერთო მინერალიზაცია 0,3-დან 0,5 გ/ლ-მდე. საერთო სიხისტე მერყეობს 1,6-5,2 მგ/ექვ-ის ფარგლებში. pH-6,4-8,4.
6.2	**სანიტარიული მდგომარეობა** – ჰორიზონტის მიწისქვეშა წყლების სანიტარიული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.
6.3	**ტემპერატურა** – 8-14^{0}C.
6.4	**წიაღითსარგებლობის ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია)** – ტერიტორია შესწავლილია მეოთხეულის გრუნტის წყლების ალუვიური ნალექების "ლიახვის" უბნის საექსპლუატაციო მარაგების დეტალური ძიების სტადიაზე.
6.5	**წიაღითსარგებლობის ობიექტის შესწავლის ხარისხი** – სალიცენზიო წყალასაღების ზუსტი დებიტი უცნობია, მაგრამ ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, მოთხოვნილი 6500000 მ^3/წელიწადში (ვარიანის სათავე ნაგებობა) რაოდენობის წყლის მიღება შესაძლებელია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით.
6.6	**მიწისქვეშა წყლების გამოყენების სფერო (ფაქტიური და შესაძლო)** – წყლის გამოყენება შესაძლებელია კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის.
6.7	**სალიცენზიო პირობები წიაღით (წყალი) სარგებლობისთვის** – 1. ლიცენზიანტმა უნდა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმ. შედგენილობაზე; 2. ლიცენზიის მიღებიდან 3 წლის ვადაში, ლიცენზიანტმა უნდა შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა; 3. უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; 4. ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი.
6.8	**დამატებითი მონაცემები** –
7	**წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება**
7.1	**წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია** – სალიცენზიო ობიექტი (ჭა), რომელიც წარმოდგენილია ორ უბნად, მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ვაკე რელიეფის მქონე ჭალის შემაღლებულ ტერასაზე.
7.2	**წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია** – საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.
7.3	**წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია** – სალიცენზიო ობიექტის ფარგლებში საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება.
7.4	**წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გართულებები** – არ არის მოსალოდნელი.
7.5	**გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა** – არ საჭიროებს.
7.6	**დასკვნები და რეკომენდაციები** – 1. სალიცენზიო ობიექტი (ჭა), რომელიც წარმოდგენილია ორ უბნად მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, ვარიანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას; 3. ლიცენზიანტმა უნდა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმ. შედგენილობაზე; ლიცენზიის მიღებიდან 3 წლის ვადაში,

	ლიცენზიანტმა უნდა შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა; უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; 4. სალიცენზიო ობიექტი საჭიროებს თავმორთულობის მოწყობას; 5. მე-3 და მე 4 პუნქტების გათვალისწინებით სალიცენზიო ობიექტებიდან წყლის მოპოვება დასაშვებია.
8	**გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდვური მასალა**
8.1	**გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები)** – ვ. ბირვაძე, ტ. ხორბალაძე, ს. ზედგენიძე, ა. ნადარეიშვილი, ს. პოლევოი და სხვ.
8.2	**ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი** – ქ. თბილისი, 1975 წ.
8.3	**ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული №** – 14069

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

სერგო მკალავიშვილი

შემსრულებლები:

გ.ხაჭაპურიძე, ნ. ჩომახიძე, ნ.ოთარაშვილი, გ.შეტრეველი, შ.ჯიქურიშვილი, ო.მაისურაძე, ი.რობაქიძე

შეთანხმებულია:

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსი

მერაბ ჩალათაშვილი


420000
420500
421000
421500
422000
422500
4658500
4658000
4657500
4657000
K-38-65-B-в
ნომენკლატურის 1:10 000 მასშტაბის
ტოპოგრაფიული რუკის ნაწილი
ლიცენზიის № ———
Варианы
1,7СС
ПТФ
676,3
673,3
40
0,5к
1
2
გორის მუნიციპალიტეტში
ვარიანის მიმდებარე ტერიტორიაზე
სახარგებლო წიაღისეულით (წყალი)
სარგებლობის ობიექტის კოორდინატები
X Y
1 421021 4658450
2 420959 4657396
WGS 1984